კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გორდა ღიბრაძე

სამხედრო - პოლიტიკური კონფლიქტების კლასიფიკაცია და მათი ტრანსფორმაცია, ახალი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის პირობებში

(რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მაგალითზე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი - ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2022

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია**

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები: **1. ვახტანგ კაპანაძე**

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,

საქართველოს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი,

ჯეოქეისის ანალიტიკოსი

2. ალიკა გუჩუა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2022 წლის 25 ოქტომბერს, 14-00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა # 73, კავკასიის

საერთაშორისო

უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი პეტრე მამრაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალობა

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ქმედების ასახსნელად საჭიროა იმ პროცესების გააზრება, რომელიც მსოფლიოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარდა. რუსეთ - საქართველოს შორის დაპირისპირებამ, გარდაუვალი გახადა კონფლიქტის მოსაგვარებლად ახალი მიდგომების შემუშავება. ამ ყველაფრის მთავარ ფაქტორად მოიაზრებოდა ვლადიმერ პუტინი, რომლის მთავარ პოლიტიკას წარმოადგენდა ძალაუფლების ბალანსის შეცვლა. რაც უფრო აძლიერებდა საქართველო დასავლეთისკენ სწრაფვას მით უფრო წინააღმდეგობას აწყდებოდა რუსეთის მიერ. საქართველოს პროდასავლური კურსი სამხრეთ ოსეთის რეგიონში ვითარების შესაძლო გამწვავებას წარმოადგენდა, ამასთანავე ქართული მხარის მხრიდან გამოითქმებოდა მზაობა იმის შესახებ, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ითვლებოდა. სწორედ ამ ფაქტორმა გაამწვავა ვითარება სეპარატისტულ რეგიონებში, საქართველო რუსეთის აგრესიული თავდაცვითი პოლიტიკის მსხვერპლად იქცა. აგვისტოში მომხდარმა მოვლენებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს და ექსპერტებს გაუჩინა ის განცდა, რომ მულტიპოლარულ მსოფლიოში, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა ერთ - ერთ მთავარ აქტორს ასევე რუსეთის სახელმწიფო წარმოადგენდა.

კონფლიქტის წინარე პროცესების დაჩქარებას ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის მხრიდან ახალი მიდგომების შემუშავებამ. 2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთი „მშვიდობისმყოფელის“ სტატუსით სარგებლობდა, რუსეთმა მედიატორის სტატუსი დაკარგა მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებამ ის ოკუპანტ ძალად გამოაცხადა, ეს ყველაფერი მოხდა მაშინ როდესაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონები ღიად გამოცხადდა ოკუპირებულ ტერიტორიად. აგვისტოს ომამდე საქართველოს ხელისუფლების კონტროლ ქვეშ იყო სამხრეთ

ოსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, იმ პერიოდში ასევე ხდებოდა სამშვიდობო ფორმატის ფუნქციონირება.

ომის შემდგომმა პერიოდმა ხელი შეუშალა სამშვიდობო ფორმატის არსებობას, შექმნილმა ვითარებამ ნათლად წარმოაჩინა რუსეთი, როგორც კონფლიქტის მთავარი გამომწვევი მხარე. საპასუხოდ, საქართველომ მიიღო კანონი ,,ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" კანონმა განსაზღვრა იმ ტერიტორიების სტატუსი, რომელთა ოკუპაცია რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად განხორციელდა. დოკუმენტი მიზნად ისახავდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონიდან ჯარების გაყვანას, ამ ტერიტორიების ანექსირების შეწყვეტას, საქართველოს ერთიან და მთლიან ნაწილად გადაქცევას.

2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის შემდგომმა პერიოდმა, აგრესიული რუსული საინფორმაციო ომის სახე მიიღო. სამხედრო თავდასხმისა და კიბერშეტევების გარდა, რუსეთმა საქართველოს დიპლომატიური და პროპაგანდისტული მეთოდებით შეუტია, ამ ყველაფრის მიზანი ომის ბრალეულობის საქართველოზე გადატანა იყო. საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული რუსული სადეზინფორმაციო კამპანია იდენტურად განხორციელდა, როგორც 2014 წელს უკრაინის წინააღმდეგ, სადაც რუსეთი აქტიურად იყო ჩართული. 2008 წლის ომთან დაკავშირებით დეზინფორმაციისა და პროპაგანდის რუსულმა კამპანიამ მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებას მიაღწია, მაგრამ გარკვეული დოზით მაინც შეძლო ომის დაწყების შესახებ ინფორმაციულ სიზუსტეში კორექტირების შეტანა.

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის მიზნებია:

- თანამედროვე ეტაპზე წარმოებული სამხედრო - პოლიტიკური კონფლიქტების კლასიფიკაციის და მათი ტრანსფორმაციის წარმოჩენა და ახალ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ჭრილში განხილვა;
- 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის განხილვა შეზღუდული სამხედრო კონფლიქტის ჭრილში და ეროვნული უსაფრთხოების ფორმატის ფარგლებში;
- სამხედრო კონფლიქტების ავტორისეული განსაზღვრების დადგენა და მისი გავლენის ახსნა გლობალურ და რეგიონულ პოლიტიკურ პროცესებზე;
- რუსეთის ფედერაციისაგან საქართველოს მიმართულებით მომდინარე საფრთხეების და მის ეროვნულ უსაფრთხოებაზე გავლენის კვლევა და ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებია:

დასახული მიზნის მისაღწევად კი იკვეთება შემდეგი ამოცანები, ესენია:

- თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების განვითარების ისტორია და მისი კომპონენტების საფრთხეების განსაზღვრა;
- თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების ადგილის განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში;
- თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილება, ბრძოლის მექანიზმები და მათი წარმოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორის წარმოჩენა;
- სამხედრო კონფლიქტების, როგორც კონვენციური საფრთხის ფენომენის წარმოჩენა;

- სამხედრო კონფლიქტების ტრანსფორმაციის ძირითადი პარამეტრების დაფიქსირება ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში;
- ახალი გეოსტრატეგიული ამოცანების აღწერა და ახალი საფრთხის შემცველი გამოწვევების ანალიზი რეგიონულ დონეზე;
- ახალი ტიპის საფრთხის და სიმეტრიული სამხედრო გამოწვევების კვლევა და ანალიზი.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები:

1. რა ფაქტორებით განისაზღვრება თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში სამხედრო კონფლიქტების კლასიფიკაცია და როგორია რუსეთ - საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის, როგორც სამხედრო კონფლიქტის კლასიფიკაცია?
2. როგორ უკავშირდება რეგიონურ დონეზე წარმოქმნილი სამხედრო კონფლიქტები საერთაშორისო უსაფრთხოების სტაბილურობის საკითხს?
3. როგორი გავლენა იქონია რუსეთ - საქართველოს სამხედრო კონფლიქტმა მსოფლიო წესრიგის პირობების შეცვლაზე?

ჰიპოთეზა

(H1): საერთაშორისო უსაფრთხოების ტრანსფორმაციის პირობებში, განსაკუთრებით „ახალი ცივი ომის“ დროს, ჩამოყალიბდა ისეთი სპეციფიკური გეოსტრატეგიული გარემო, რომლის ფარგლებშიც, სამხედრო კონფლიქტების განვითარებამ გამოიწვია მსოფლიო წესრიგის პირობების შეცვლა და გარდაიქმნა გაცილებით საშიშ დაპირისპირების თამაშად გლობალურ გავლენის ცენტრებს შორის, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითზე.

(H2): სამხედრო კონფლიქტების განვითარება 21-ე საუკუნეში ძირფესვიანად ცვლის უსაფრთხოების პირობებს გლობალურ დონეზე და ამას მოწმობს რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მაგალითი.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი - სამხედრო პოლიტიკური კონფლიქტების კლასიფიკაცია და მისი გავლენა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე.

კვლევის ობიექტი - თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა და მისი ტრანსფორმაცია.

თემის მეცნიერული სიახლე

თემის მთავარ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს კონფლიქტების კლასიფიკაციის არსი და მისი მნიშვნელობა, მსოფლიოში განხორციელებული გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე. ნაშრომში განხილულია:

- რუსეთ - საქართველოს შორის მომხდარი კონფლიქტის ძირითადი საფუძვლები.
- ნაშრომში ასევე წარმოჩენილია დაპირისპირების გავლენა რეგიონის გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე, ის ასახავს ახალი მიდგომების შემუშავებას კონფლიქტის დარეგულირების პროცესში.
- მოხდა სამხედრო კონფლიქტების კლასიფიკაციის განსაზღვრა სამხედრო მეცნიერების და ხელოვნების კონტექსტში მსოფლიოში განვითარებული გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, როგორც სამხედრო კონფლიქტი და გამოისახა მისი სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორები. საქართველოს აკადემიურ სივრცეში პირველად არის შესწავლილი რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი სამხედრო მეცნიერების ფორმატში, თანამედროვე უსაფრთხოების კვლევების

ჩარჩოში და გაანალიზებულია მისი შედეგები, პოლიტიკის ანალიზის ინდივიდუალურ ანუ ეროვნულ, რეგიონურ და საერთაშორისო დონეზე. აქვე განისაზღვრა სამხედრო კონფლიქტის დეფინიცია თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში.

- მოხდა რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო კლასიფიკატორის კუთხით შესწავლა და მინიჭებულია შეზღუდული სამხედრო კონფლიქტის სტატუსი. ასევე სისტემური ანალიზის კუთხით არის განხილული და წარმოჩენილი თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციფიკური მოვლენები და პირველად მოხდა ასახვა საერთაშორისო უსაფრთხოების არსის ფორმატში. ასევე მეცნიერულ სიახლედ ჩაითვლება კავკასიის რეგიონის რეგიონური უსაფრთხოების გეოპოლიტიკური თავისებურებების წარმოჩენა და მისი შესწავლა უსაფრთხოების კვლევების მეთოდების ფარგლებში, კონფლიქტების კვლევა და მათი მახასიათებლების გამოვლენა, ძალზედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მათი თავიდან აცილების და დარეგურირების თვალსაზრისით.

თემის თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია

- გამოყენებული იქნა **ვილსონისეული იდეალიზმი**, რომელიც გულისხმობდა რაციონალურ საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას ამ პრინციპით ომის შეკავებას, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი მსოფლიოში სამუდამო მშვიდობის დამყარების;
- ასევე განხილულ **იქნა კენეთ უოლცის law like statements** სადაც გულისხმობს სახელმწიფოთა საქციელის სტრუქტურას, სადაც უოლცი განიხილავს სახემლწიფო ინტერესების უზენაესობას და ძალის პრიმატს;

- **რიჩარდ კოენის - Cooperative Security - კოლექტიური უსაფრთხოების მოდელი** წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უნივერსალურ სისტემას. მისი დოქტრინის მიხედვით, უსაფრთხოების დილემის გადალახვა და ომის თავიდან აცილება სახელმწიფოებს არა ძალთა წონასწორობის, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების ერთობლიობის შექმნით შეუძლიათ;
- **ძალთა ბალანსის თეორია** - რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან, ერთ–ერთი ფუნდამენტური კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. ამ კონცეფციის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის.
- **სექიურითიზაციის კონცეფცია** - რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, კონცეფციის არსი მდგომარეობს შემდეგში, შეიძლება თუ არა ესა თუ ის შემთხვევა მივიჩნიოთ უსაფრთხოების საკითხად? უსაფრთხოების საკითხები უფრო ნაკლებად უკავშირდება ფიზიკურ რეალობასა თუ ობიექტურ გარემოებებს და მეტად მიეკუთვნება აღქმის სფეროს – უნდა იქნეს თუ არა აღქმული ესა თუ ის ფენომენი როგორც საფრთხე.
- **კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია** - რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა პლურალისტური ხედვის პირმშოა. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია ეკუთვნის ჯოზეფ ნაის და რობერტ კიოჰანმას, ისინი ამბობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არის გაცილებით უფრო რთული, ვიდრე იყო ომამდე. ადრე ურთიერთობები წარმოებდა სახელმწიფოს ლიდერებს შორის და

ძალის გამოყენება ყოველთვის მოიაზრებოდა როგორც ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის ლიდერებს შორის წამოჭრილი კონფლიქტების გადასაჭრელად. უსაფრთხოების და თვითგადარჩენის „მაღალ პოლიტიკას“ ჰქონდა უპირატესობა ეკონომიკის და სოციალური საკითხების „მცირე პოლიტიკასთან“ შედარებით კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ხანაში ეს უკვე ასე აღარ არის ორი მიზეზის გამო: პირველი, დღესდღეობით ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ არის მხოლოდ ურთიერთობები ქვეყნის ლიდერებს შორის, არამედ არსებობს ურთიერთობები ბევრ სხვადასხვა დონეზე ბევრი სხვადასხვა აქტორების და სამთავრობო განშტოების გავლით.

- **სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია** - საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელია საერთაშორისო საზოგადოების წესები და ნორმები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესებს განაპირობებს;
- **ფრანკფურტის სკოლა** - წარმოადგენდა ინტელექტუალების წრის ფორმირებას, რომლებმაც წამყვანი როლი ითამაშეს საზოგადოების კრიტიკული თეორიის აგებაში, რაც წარმოადგენს დასავლეთის მარქსისტული აზროვნების მიმდინარეობას, ასევე ცნობილი იყო კრიტიკული თეორიის შემუშავებისა და სწავლების დიალექტიკური მეთოდის პოპულარიზაციის მხრივ.
- **პოლიტიკური რეალიზმის თეორია** - პოლიტიკური რეალიზმი აზროვნების სკოლაა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს ძალაუფლების გადმოსახედიდან აღწერს. სახელმწიფოების მიერ ერთმანეთის მიმართ ძალისმიერი ქმედებების ჩადენა ზოგჯერ რეალისტურ ან ძალისმიერ პოლიტიკად მოიხსენიება. თეორიის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა, სახელმწიფოს

ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი - ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური).

- **ჯოზეფ ნაის „რბილი ძალის“ თეორია** - ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ჯოზეფ ნაიმ 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს გააცნო ახალი ტერმინი “რბილი ძალა”. მისი განმარტებით, “რბილი ძალა” სახელმწიფოს უნარია, ხისტი ძალის გამოყენების გარეშე დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე. ეს არის კულტურული ძალა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოები ახდენენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. იგი ეფუძნება სამ ძირითად წყაროს: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

ნაშრომის მუშაობისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება ემპირიული კვლევის მეთოდებს. ასევე ემყარება სამეცნიერო ლიტერატურას და ისტორიულ წყაროებს.

- თვისობრივი კვლევის მეთოდები:
  - ✓ ისტორიულ - აღწერილობითი;
  - ✓ პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
  - ✓ მონაცემთა ანალიზი;
  - ✓ კონტენტ ანალიზი;
  - ✓ შემთხვევის ანალიზი (Case study);
  - ✓ სიღრმისეული ინტერვიუ.
- კვლევის მიზნების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ კი **სიღრმისეული ინტერვიუები**. სამიზნე ჯგუფის შერჩევა მოხდა დარგის სპეციალისტებთან, სამხედრო ექსპერტებთან,

ანალიტიკოსებთან უსაფრთხოების საკითხებში და საერთოდ პოლიტიკური პროცესების სფეროში.

საერთო ჯამში, უკვე ჩატარებული პოლიტიკური კვლევების მეთოდოლოგია მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს:

1. მოვლენათა კლასიფიკაცია;
2. ინფორმაციის მოპოვება;
3. სიტუაციური ანალიზი;
4. ისტორიული ანალიზი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური სურათის მისაღწევად გამოვიყენეთ „შედარებითი“ მეთოდი, **შედარებითი კვლევის მეთოდი** ეს არის ერთი ან მეტი ფენომენის დაპირისპირების სისტემური პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ისინი ცდილობენ დაადგინონ მათ შორის მსგავსება და განსხვავება. ეს განსაკუთრებით ეფექტურია რეგიონული პოლიტიკის ანალიზისას და ამა თუ იმ გეოპოლიტიკური მოვლენის მონაწილეთა ინტერესების შესწავლისას.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

სამხედრო პოლიტიკური კონფლიქტები, ითვლება 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად, ამ პროცესების შესწავლა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები საშუალებას იძლევა გაგებული და გააზრებული იქნას ის ძირითადი ფაქტორები, რაც ხელს უწყობს ან უშლის გლობალური უსაფრთხოების დამკვიდრებას, ასევე თუ რა საფრთხეების, რისკების მატარებელია სამხედრო კონფლიქტები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი დამხმარე წყარო იქნება ამ თემატიკაზე მომუშავე ყველა ანალიტიკოსის და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტისთვის. ასევე

მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

გამოყენებული წყაროების ნაწილი წარმოადგენს პოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევ მიზეზთა მნიშვნელობას. ხოლო კონკრეტული სალიტერატურო წყაროს მიმოხილვისას შესაძლებელია წარმოვადგინოთ, რამდენიმე სახის მასალა, რომლებსაც გააჩნიათ უშუალო კავშირი თემატიკასთან.

Richard Cohen - Cooperative Security - რიჩარდ კოენის კოლექტიური უსაფრთხოების მოდელი, წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უნივერსალურ სისტემას. მისი დოქტრინის მიხედვით, უსაფრთხოების დილემის გადალახვა და ომის თავიდან აცილება სახელმწიფოებს არა ძალთა წონასწორობის, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების ერთობლიობის შექმნით შეუძლიათ. ეს ინსტიტუტები მიმართული იქნება იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც სხვა უფრო სუსტი ქვეყნების დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებიან. კოენისეული დოქტრინა იზიარებს დევიზს ,,ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის". თანამშრომლობითი უსაფრთხოების მოდელს აქვს თავისი უსაფრთხოების რგოლი, რომელიც აერთიანებს: ინდივილუარ უსაფთხოებას, კოლექტიური თავდაცვას, სტაბილურობის ხელშეწყობას. სწორედ ამ რგოლების შენარჩუნებით ხდება სტაბილური სისტემის ჩამოყალიბება. ავტორი ასევე ამახვილებს ყურადღებას წევრი ქვეყნების ჩართულობაზე, სადაც განიხილავს კოლექტიურ დიპლომატიას, ეკონომიკურ კავშირს, ასევე საფრთხის შემთხვევაში სამხედრო ჩართულობას. კოენი ასევე აღნიშნავს, რომ კოლექტიურმა უსაფრთხოებამ სწრაფად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატი, სწორედ კოლექტიური თავდაცვა და უსაფრთხოება აერთიანებს ყველა

საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც შეიქმნა 20-ე საუკუნეში. ამერიკელი მკვლევარი გვთავაზობს ისეთ მოდელს, რომელიც შესაძლოა ერთ - ერთ იდეალურ მოდელად მივიჩნიოთ. ***Ronald Asmus - A Little War That Shook the World*** - რონალდ ასმუსის წიგნი ,,მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა". ასმუსის მოყვანილი შეხედულებები და მისი ანალიზი შეგვიძლია მივიჩნიოთ მთავარ მიზეზად თუ რა დამოკიდებულებით იყო მოსკოვი საქართველოს მიმართ. ავტორი ასევე ლაკონურად წარმოაჩენს თბილისა და მოსკოვს შორის მოახლოებულ კრიზისის ნიშნებს, ასევე ხაზს უსვავს დასავლეთის ურთიერთობას რუსეთთან. მკვლევარი გამოყოფს იმ გარემოებას, რომ აგვისტოს ომი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სწორედ იმ მიზეზით იყო განპიროვნებული, რომელიც დასავლეთის და ევროკავშირის მიერ კოსოვოს აღიარებაზე რუსეთის პასუხს წარმოადგენდა. ამავე დროს ეს იყო რუსეთის გაფრთხილება ყველასთვის, ნებისმიერი საბჭოთა რესბუბლიკა, რომელიც მოინდომებდა დასავლური კურსის აღებას, ის აუცილებლად დაისჯებოდა არჩეული კურსის გამო. ასმუსი ასევე გვიჩვენებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ტრანსფორმაციას და გვეუბნება, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთმა მისი ინტერესების წინააღმდეგ მიიჩნია. არსებობს ასევე ვარაუდები იმის თაობაზე, რომ სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო შენაერთების გაძლიერება აგვისტოს ომამდე მიმდინარეობდა. ავტორისეული ვარაუდით, რომელიც დაპირისპირების მრავალ მხარეს გვიჩვენებს, ის ასევე აღნიშნავს, რომ ომის დაწყებამდე ამ ყველაფერს წინ უძღვოდა რამდენიმეწლიანი პერიოდი, ასევე გარკვეულწილად ქართული მხარის შეცდომებზეც საუბრობს, რადგან მან წააგო ომი დაკარგა ტერიტორია და საერთაშორისო პრესტიჟი. რაც შეეხება მკვეთრად გამოხატულ პროდასავლურ კურს ქართული მხარის მხრიდან, რომელიც აღწერილია ,,პარიზის ქარტიაში" სადაც ქვეყნებს აქვს უფლება თავად აირჩიონ ის ალიანსები, რომლებთანაც სტრატეგიულ პარტნიორები გახდებიან, სწორედ ამ კურსის შედეგად აღმოჩნდა საქართველო რუსეთის აგრესიის მსხვერპლი. ***ვახტანგ მაისაია*** -

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინატები ცივი ომის შემდეგ (1991 – 2004) - ვახტანგ მაისაიას წიგნში წარმოდგენილია საქართველო და მსოფლიო, სამომავლო ხედვა და სტრატეგია. ასევე ავტორი აღნიშნავს, რომ აშშ-ს და რუსეთს შორის მოქცეული საქართველო ცდილობს გამონახოს საკუთარი გეოპოლიტიკური ნიშა. გამოსაყოფია საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, რომელიც კვლავაც განარგძობს რეგიონში შეინარჩუნოს და ხელი შეუწყოს მშვიდობისაკენ და სტაბილურობისაკენ სწრაფვას. საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა კავკასიაში სტაბილურობის და თანამშრომლობის გარემოს შექმნას. ამ მიმართულებებიდან გამომდინარე ავტორი ასევე ხაზს უსვამს საქართველო - ნატოს ურთიერთობებს, საქართველომ ევროატლანტიკურ სივრცეში გააღრმავა ურთიერთობა ალიანსთან და ის გახდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს დამფუძნებელი წევრი. საქართველოს ჩართულობა პროგრამაში ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის“ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება, რადგან ის განიხილავს ყველა იმ მიმართულებას, რომელიც ევროატლანტიკური რეგიონის სტაბილურობას შეეხება. ავტორი წარმოადგენს საქართველო - რუსეთის ურთიერთობების დინამიკას, ის აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რუსეთის საზღვრებთან მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია რუსეთის პოზიციების შეცვლა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა რუსეთის საგარეო პრიორიტეტები, ამ ყველაფერს მოყვა ახალი გეოპოლიტიკური არეალის ჩამოყალიბება, რომელიც რამდენიმე მიმართულებით ეწინააღმდეგებოდა რუსეთ - საქართველოს ურთიერთობებს. ურთიერთობების ესკალაციას ხელი შეუწყო ვლადიმერ პუტინის პოლიტიკამ, რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული განვითარების სტრატეგიას, მის მიერ გატარებული პოლიტიკის ნაწილში კავკასიის რეგიონს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ავტორი გამოყოფს ასევე საქართველო - ამერიკის ურთიერთობებს, სადაც იკვეთება გეოპოლიტიკური წესრიგის კონტურები, ამერიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა განვითარებად ქვეყნებში მათ შორის საქართველოში,

დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა. წიგნში კარგად არის წარმოჩენილი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორები. ***რევაზ ჯორბენაძე - პოლიტიკური კონფლიქტების მართვა*** - ავტორი წიგნში მოგვითხრობს პოლიტიკური კონფლიქტების წარმოშვების და განვითარების შესახებ, ასევე აღნიშნავს საქართველოს პოზიციას კონფლიქტურ სიტუაციებთან მიმართებაში. ჩვენი ქვეყნისთვის კონფლიქტური ვითარებიდან მშვიდობიანი და თანამშრომლობითი გზით გამოსვლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. საქართველო ორ დიდ მართმადიდებლურ - სლავურ და ისლმარუ ცივილიზაციებს შორის მდებარეობს. კონფლიქტის დინამიკას ორი მხარე გააჩნია, რომლებთაც მზარდი და კლებადი ინტენსივობა ახასიათებს, ხოლო რაც შეეხება კონფლიქტების ესკალაციას ის სამ მოდელად იყოფა: ***1) მზარდი სტრუქტურული ცვლილებებით, 2) ორგანზომილებიანი მოდელით, 3) ციკლური სქემებით.*** ესკალაციას ასევე გააჩნია ფაზები და სტადიები. რაც უფრო მაღალია ინტენსივობა კონფლიქტის, მით უფრო მაღალ საფეხურს უტოლდება დაპირისპირება. ხოლო დეესკალაცია კონფლიქტის შემაჩარებელი მექანიზმია, რომელის მთავარი ფუნქციაა შემცირდეს მინიმუმამდე კონფლიქტის ინტენსივობა. ავტორი ასევე საუბრობს კონფლიქტების მართვაზე,რომელიც ძირითადად გადაწყვეტილების მიღების პროცეს ეხება, ასევე აქცენტირება კონფლიქტის მშვიდობიან ფორმირებაზე ხდება. ასევე უნდა გამოიყოს მხარეთა მშვიდობიანი ინტერესების გათვალისწინება, მათი მზაობა იმის თაობაზე, რომ კონფლიქტი არ გადავიდეს მწვავე დაპირისპირებაში. კონფლიქტის პრევენცია ხდება ასევე მესამე მხარის ჩართულობით, რომელიც ორ დაპირისპირებულ მხარეს კონსესუსისკენ მოუწოდებს. სწრაფი და ეფექტური ესკალაციის შემთხვევაში მონაწილე მხარეები არიან, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ სტაბილურობის შენარჩუნება და ძალადობრივი ქმედებების თავიდან აცილება. კონფლიქტების მართვა ისახავს ერთ მთავარ მიმართულებას, რომელიც არ

დაუშვებს კონფლიქტმა მიიღოს შეიარაღებული ბრძოლის სახე. კონფლიქტების რეგულირებისას ხდება მშვიდობიანი გზების ძიება, ასევე კონფლიქტი ჩაითვლება გადაჭრილად თუ დაპირისპირებული მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას. წიგნში კარგად არი წარმოჩენილი კონფლიქტების წარმოშვების, გადაჭრის და მართვის ფუნქციები. ***ვახტანგ მაისაია,გუგული მაღრაძე - 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები*** - ავტორები განიხილავენ უსაფთხოებას, როგორც სტაბილური გარემოს უზრუნველმყოფელ აქტოს, მაგრამ უსაფრთხოების პირობების შენარჩუნება წარმოადგენს ურთულეს ამოცანას. ასევე ნაშრომში საუბარია კოლექტიურ უსაფრთხოებაზე, რომელიც საერთო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნების მთავარ მოქმედ ცენტრად აღიქმება. ასევე აღსანიშნავია ეროვნული უსაფრთხოების როლი სახელმწიფო წყობილებაში, ის პიროვნების, საზოგადოების, ეკონომიკის და სახელმწიფოს ინსტიტუტების მდგრადი განვითარებისკენ არი მიმართული. ერონვული უსაფრთხოება წარმოადგნეს ისეთ ფენომენს, რომელსაც გააჩნია განსაზღვროს სახელმწიფოს განვითარების ეტაპები საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების მიმართულებით. წიგნში გამოყოფილია საერთაშორისო უსაფრთხოების სამი განზომილება: პოლიტიკური, სამხედრო და საინფორმაციო ფორმატი, რომელიც ,,რბილი ძალის" თეორიის ფორმატშია განხილული, ეს მიმდინარეობები უკეთ გვიჩვენებენ თუ როგორ ვითარდება 21-ე საუკუნეში საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები და რა როლი უჭირავს უსაფრთოხებას. წინგში ავტორები განიხილავენ კიბე უსაფრთოების როლს, სახელმწიფოს წარმოჩენა ტექნოლოგიური კუთხით რამდენად ძლიერია ის ამ მიმართულებით? თანამედროვე მსოფლიოში საინფორმაციო ომს დიდი როლი უჭირავს, მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ გლობალური მაშტაბის პროცესია. მისი მეთოდებს მიეკუთვნება: დეზიმფორმაციის გავცელება, ტელე რადიო გადაცემების დაბლოკვა, ლოჯისტიკური ქსელების დაბლოკვა. მიუხედავად ამ

კომპლექსური მიმართულოებებისა მას ასევე სხვა რეგალიებიც გააჩნია. კიბერ უსაფრთოების როლი ძალზედ დიდია მსოფლიო უსაფთხოების მიმართულებით. წიგნში ძალიან კარგად არი წარმოჩენილი საერთაშორისო უსაფრხოების ფაქტრო და მისი როლი თანამედროვე მსოფლიოში. ***გიორგი სანიკიძე, კიღურაძე ნინო. ,,თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია"*** - წიგნში განხილულია თეორიები საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციის საკითხები, საერთაშორისო უსაფრთხოება ცივი ომის შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო რეჟიმები, საერთაშორისო ორგანიზაციები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, ტრანსნაციონალური აქტორები გლობალურ პოლიტიკაში და სახელმწიფოთა სუვერენობა და ჰუმანიტარული ინტერვენცია გლობალიზაციის ეპოქაში. ავტორები ხაზგასმით საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რეგიონალიზმი და ინტეგრაცია, ნაციონალიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და კულტურული კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში, ეს საკითხები დღესდღეობით ძალიან აქტუალურია და უშუალო კავშირშია გლობალურ პოლიტიკურ პროცესებთან.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები დაცულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში თეორიულ - ემპირიული კვლევების და თემატური სემინარების ფარგლებში. დოქტორანტი მონაწილეობდა სხვადასხვა სახის კონფერენციებში, ტრენინგ - სემინარებში, გამოაქვეყნა პუბლიკაციები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში: საერთაშორისო სამეცნიერო რეფირირებად ჟურნალში ,,ANTE PORTAS Security Studies"-ში გამოქვეყნდა ორი სამცნიერო ნაშრომი 2020 წლის და 2021 წლის გამოცემებში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

სამეცნიერო ჟურნალი - „პოლიტო/ლოგოსი“, 2021 წელს. პუბლიკაციები დაბეჭდილია რეფერირებად ჟურნალებში საზღვარგარეთ, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში. 2020 - 2021 წლებში წმინდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტში, მიღებეულ იქნა მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცებში, სადაც დაიბეჭდა სტატიები ,,დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების სამხრეთ კავკასიაში“ და ,,კორონა ვირუსის პანდემიის გავლენა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე და ეკონომიკაზე“.

დისერტაციის სტრუქტურა

წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება სამხედრო - პოლიტიკური კონფლიქტების კლასიფიკაციას და მათ ტრანსფორმაციას, ახალი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის პირობებში (რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მაგალითზე). ნაშრომში გაანალიზებულია სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების ბუნება და წარმოშობის მიზეზები, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

აგვისტოს კონფლიქტს კომპლექსური პროცესები უძღოდა წინ, ამ პროცესებმა სხვადასხვა გავლენა იქონია გეოპოლიტიკური ნიშნით, ომში უშუალო მონაწილე მხარეებზე. ნაშრომში წარმოდგენილია აგვისტოში განვითარებული პროცესების პოლიტიკური მიზეზები და მათი შესაძლო შედეგები. რუსეთი, როგორც ერთ-ერთი მთავარი აქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში, განხილულია მის მიერ წარმოებული აგრესიული სამხედრო პოლიტიკა, სამხედრო ინტერვენცია და მისი გამომწვევი მიზეზები. ნაშრომი ასევე წარმოაჩენს 2008 წლის ომს შეზღუდულ სამხედრო კონფლიქტად.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 9 ქვეთავის, ექსპერტების კვლევის და დასკვნისაგან, ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

შესავალში განხილულია საკვლევის თემის აქტუალობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ასევე წარმოდგენილია ნაშრომის ინფორმაციული ბაზა.

თავი I. სამხედრო კონფლიქტების გავლენა თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე 21-ე საუკუნეში. (1.1. კონფლიქტების კლასიფიკაცია სამხედრო უსაფრთხოების კონტექტსტში და მათი ტიპოლოგია 1.2. სამხედრო კონფლიქტების თავისებურებანი და მათი

ტრანსფორმაციის საკითხები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში 1.3. 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა გეოსტრატეგიული ანალიზის ფორმატში)

პირველ თავში განხილულია გლობალური უსაფრთხოების საკითხი, რომელიც ერთ - ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ახალი მსოფლიო წესრიგის მოწყობის კუთხით. მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების ფონზე, მსოფლიო წესრიგის მოწყობა, სადაც აშშ გეოპოლიტიკური ჰეგემონობას წარმატებით ინარჩუნებს.

პირველი თავის პირველი ქვეთავი ეთმობა სამხედრო კონფლიქტების კლასიფიკაციას, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობს, განხილულია სხვადასხვა სახის წარმოებული ომის ფორმები, საუბარია სპარსეთის ყურის ომზე, რომლის ყველაზე უფრო აქტიური ფაზაც ცნობილია როგორც ოპერაცია „უდაბოს ქარიშხალი“, ის გახდა პირველი შეიარაღებული კონფლიქტი, რომელმაც ნათლად აჩვენა ახალი თაობის მაღალტექნოლოგიური ომების წარმოების მეთოდები. ის, რაც პირველად იქნა გამოყენებული ერაყსა და ქუვეითში 90-იანი წლების დასაწყისში, შემდგომში დასავლეთის ქვეყნების მიერ განვითარებული ომის წარმოების სტანდარტი გახდა.

პირველი თავის მეორე ქვეთავში წარმოდგენილია ცივი ომის შემდგომი მსოფლიო, განხილულია საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორები, რუსეთის მიერ წარმოებული პროპაგანდა და საინფორმაციო ომის საფრთხე განსაკუთრებით იმ ცნობების ფონზე, რომლის თანახმად, რუსეთი უხეშად ჩაერია აშშ-ის არჩევნებში და სავარაუდოდ, გავლენა იქონია მის შედეგზე, საუბარია ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორიც არის რუსეთის რბილი ძალის გავლენა საქართველოზე.

პირველი თავის მესამე ქვეთავში საუბარია უსაფრთხოების თემატიკაზე და მის როლზე თანამედროვე სამყაროში, განხილულია ასიმეტრიული ძალის

გამოყენება და ასიმეტრიული ომის ფორმა, თავი ასევე ეთმობა ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიც არის ისრაელ - პალესტინის კონფლიქტი.

თავი II. რეგიონული უსაფრთხოების ფაქტორი მსოფლიო წესრიგის მოდელირების პროცესში. (2.1. კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური თავისებურება 2.2. კავკასიის რეგიონული უსაფრთხოება და სამხედრო კონფლიქტები - უსაფრთხოების დილემა თუ უსაფრთხოების ჩიხი 2.3. კავკასიური სამხედრო კონფლიქტების გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე)

მეორე თავში საუბარია რეგიონული უსაფრთხოების ფაქტორზე მსოფლიო წესრიგის მოდელირების პროცესში, სადაც განხილულია სამხრეთ კავკასიაში შემავალი ქვეყნებს შორის წარმოებული სამხედრო კონფლიქტები, საკითხის აქტუალობა განპირობებულია ეთნოპოლიტიკური პრობლემატიკის გამოწვევით. უმეტესწილად სამხედრო კონფლიქტში მონაწილე მხარეები ერთმანეთს უპირისპირდებიან ეთნიკური ნიშნით, კონფლიქტის ეთნიზაცია შესაძლოა ათეულობით წლები გაგრძელდეს, სამხედრო კონფლიქტების მოგვარება წარმოადგენს ერთ - ერთ საკვანძო საკითხს, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ რთულად გადასაჭრელ პრობლემად რჩება მთლიანად კავკასიის რეგიონში.

მეორე თავის პირველ ქვეთავში საუბარია კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური თავისებურებაზე, განხილულია ისეთი აქტორების როლი, როგორებიც არიან: ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, ირანი. წარმოდგენილია მათი სტრატეგიული ინტერესები რეგიონის მიმართ.

მეორე თავის მეორე ქვეთავში განხილულია კავკასიის რეგიონული უსაფრთხოება და სამხედრო კონფლიქტები, სამხრეთ კავკასიის განვითარება პირდაპირ კავშირშია, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების საკითხთან, საუბარია ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორიც არის

მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტი. არსებული კონფლიქტის წინა პირობა იმაში მდგომარეობს, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარეობს დავა, რომელიც დღესაც მოუგვარებლად ითვლება.

მეორე თავის მესამე ქვეთავში განხილულია სამხრეთ კავკასიაში წარმოებული თუ მოქმედი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები, გამოკვეთილია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის პოზიცია და მისი სტრატეგიული მიზნები, რომელიც ,,მშვიდობისმყოფელის" სტატუსით არის წარმოდგენილი რეგიონში.

თავი III. რუსეთ - საქართველოს კონფლიქტის გეოსტრატეგიული ასპექტების გლობალური და რეგიონული ასპექტები (3.1. რუსეთ - საქართველოს სამხედრო დაპირისპირების, როგორც შეზღუდული სამხედრო კონფლიქტის ანალიზი 3.2. რუსეთ - საქართველოს შეზღუდული სამხედრო კონფლიქტის განვითარების დინამიკა და მისი გეოსტრატეგიული ანალიზი 3.3. რუსეთ - საქართველოს შეზღუდული სამხედრო კონფლიქტის გავლენა გლობალური უსაფრთხოებაზე)

მესამე თავში საუბარია რუსეთ - საქართველოს კონფლიქტის გეოსტრატეგიული ასპექტებზე, რეგიონში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის გატარებულ პოლიტიკას, რომელიც ამომავალ წერტილად მიიჩნევს ტოტალიტარულ კონტროლს მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. საუბარია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის ქვეყნების ბედზე, რომლებსაც სურთ ინტეგრირება მოახდინონ ევროპული და დასავლური მიმართულებით, განხილულია რუსეთის მხრიდან გატარებული აგრესიული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ.

მესამე თავის პირველ ქვეთავში განხილულია საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკის აგრესიული ფაქტორი. საუბარია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციაზე, რომელიც წყაროა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის ქვეყანაში. საქართველოს

წინააღმდეგ აგრესიის განხორციელება მისთვის ჩვეული მოვლენად არის ქცეული, მაგრამ დასავლეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით ის ვერ ახერხებს ღია სამხედრო აგრესიის განხორციელებას.

მესამე თავის მეორე ქვეთავში წარმოდგენილია რუსეთ - საქართველოს სამხედრო კონფლიქტის განვითარების დინამიკა, საუბარია რუსეთ - საქართველოს კონფლიქტის შემდგომ განვითარებულ გლობალურ პროცესებზე, რა გავლენა მოახდინა აგვისტოს პროცესებმა მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტზე, რა როლს თამაშობს რუსეთი წარმოებულ სამხედრო კონფლიქტში.

მესამე თავის მესამე ქვეთავში განხილულია, რუსეთ - საქართველოს სამხედრო კონფლიქტის გავლენა გლობალური უსაფრთხოებაზე, რუსეთის, როგორც ახალი აქტორის როლი სირიის კონფლიქტში, ასევე ქვეთავი ეხება ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიც არის უკრაინის ანექსიის პროცესი. მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ განახორციელა უკრაინის სუვერენული ტერიტორიის ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპირება ე.წ. „ჰიბრიდული ომის“ მეშვეობით და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმისა და პრინციპის უგულებელყოფით, ამ პროცესებში ჩართულობის შემდეგ, მას მსოფლიოზე ჰეგემონობის ამბიცია გაუჩნდა.

დასკვნაში მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები, რომელთა გათვალისწინებისა და შესრულების შემთხვევაში სახელმწიფოებს გარკვეულწილად ექნებათ შესაძლებლობა კონფლიქტების საწყის ეტაპზე დარეგულირების და პრევენციის მექანიზმების ეფექტური შემუშავების. რა დროსაც უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა ძირითადი ასპექტი კონფლიქტის საწყისი ეტაპისა, მასში მონაწილე მხარეების პირდაპირი თუ ირიბი ჩართულობა, რომელთაც გარკვეული ინტერესები გააჩნიათ და შეუძლიათ გავლენა იქონიონ კონფლიქტზე.

სამხრეთ კავკასიაში შემავალ ქვეყნების სტაბილური მდგომარეობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში,

რომელთაც ამ რეგიონის მიმართ დიდი გეოპოლიტიკური ინტერესი გააჩნიათ. ამერიკის როლი, რეგიონში კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრას ემსახურება, ხოლო რუსეთის პოლიტიკა რეგიონში ორიენტირებულია იმით, რომ დაამკვიდროს არასტაბილური ვითარება და შექმნილი ვითარების ფონზე მოახდინოს დომინირება, როგორც მთავარმა აქტორმა საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

ჩატარებული კვლევის შედეგად და თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე გამოიყო შემდეგი მიდგომები:

- ✓ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ - ერთ პრიორიტეტად ითვლება, მოახდინოს სამხრეთ კავკასიაში შემავალი ქვეყნების ერთმანეთისაგან გათიშვა, ეს გულისხმობს მათი ორმხრივი ურთიერთობების სამმხრივად გარდაქმნას, რა თქმა უნდა რუსეთის ჩართულობით.
- ✓ რუსეთი გარკვეულწილად ჩართულია სომხურ - აზერბაიჯანულ კონფლიქტის მოგვარებაში, მაგრამ მისი ინტერესების სომხეთზე ტოტალური კონტროლით შემოიფარგლება. რაც შეეხება ქართულ - აზერბაიჯანულ ურთიერთობებს, რომელიც სტრატეგიული პარტნიორობით შემოიფარგლება, რუსეთისათვის ეს გარკვეული დისკომფორტის მატარებელია, რადგან ქართულ - აზერბაიჯანულ ალიანსს ის სკეპტიკურად უყურებს, მის სასიკეთოდ საქართველო - აზერბაიჯანსაც შორის ხდება გაურკვევლობა დავით გარეჯის საკითხთან მიმართებაში. (საქართველო - აზერბაიჯანის საზღვრის ამ მონაკვეთთან დაკავშირებული პრობლემა უკვე წლებია დროდადრო მწვავდება ხოლმე, ხელისუფლებების მოლაპარაკებების შემდეგ კი მხოლოდ დროებით გვარდება).
- ✓ ამერიკის როლი რეგიონთან მიმართებაში მკვეთრად განსხვავდება რუსეთისაგან, ის ცდილობს დაიცვას ბალანსი

ყველა სახელმწიფოებთან მიმართებაში. კონფლიქტის დარეგულირების კუთხით ამერიკასთან ერთად ევროკავშირმაც ვერ მიაღწია რაიმე მნიშვნელოვანს, ვაშინგტონის ინტერესები ძირითადად ორიენტირებულია : ენერგო რესურსების სწორად განაწილებაზე, უსაფრთხოების საკითხებზე და ასევე დემოკრატიის პროცესების განვითარებაზე.

- ✓ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკურ - ეკონომიკურ რეფორმები სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში. ესეთი პროცესები დაიწყო სომხეთში, რომელიც 2018 წელს რევოლუციით დასრულდა, საერთო ფართომასშტაბიან გამოსვლებს გამოკვეთა პროდასავლური ლიდერი ნიკოლ ფაშინიანის სახით, მისმა მოსვლამ პრემიერად გარკვეულწილად შეცვალა სომხეთის საგარეო პოლიტიკა, რომელიც გარკვეულწილად რუსეთზე იყო დამოკიდებული.
- ✓ ნიკოლ ფაშინიანის დანიშვნიდან ორი წლის თავზე ,,გაყინული კონფლიქტს“ თავიდან ჩაეყარა საფუძველი, შესაძლოა ვივარაუდოთ ეს რუსეთის ჩართულობითაც მოხდა, რადგან 2016 წლიდან რუსულ - სომხური ურთიერთობები გარკვეულ ეტაპზე უარყოფითად კორექტირდა. დემოკრატიული პროცესების განმტკიცება რეგიონში, ხელს შეუწყობს რეგიონალურ სტაბილურობის, დაჩქარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციას, დასავლური და ევროპული მიმართულებით, ხოლო პოზიტიურ გავლენას მოახდენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების პროცესზე.

- ✓ 2008 წლის საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სადაც რუსეთი, როგორც აგრესორი ისე გამოიკვეთა, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აღიქვა, ქვეყანა რომელმაც მეზობელს წაართვა სამხედრო გზით ტერიტორები. 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაცია ღიად ჩაება კონფლიქტში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე და განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. აგვისტოს მოვლენების შემდეგ, კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის ნორმალიზება დღესაც ვერ ხერხდება, რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტის ფონზე საქართველოს ორ რეგიონში მოხდა რუსეთის სამხედრო ბაზების ფორმირება. სეპარატისტული რეჟიმების წახალისებით ხდება ქართული მოსახლეობის უკანონო დაკავება, ისინი პერმანენტულად აგრძელებენ საქართველოს ტერიტორიების ანექსიას.
- ✓ ასიმეტრიული საფრთხეების ფონზე, კიდევ უფრო იზრდება იმის მოთხოვნა, რომ საქართველო ჩაერთოს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ამ მექანიზმით მან გაანეიტრალოს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები. კავკასიაში მიმდინარე პროცესებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, წარმოებულ პროცესში დასავლეთი, რუსეთი და თურქეთი წამყვანი პოლიტიკური აქტორები არიან, რომელთაც თავიანთი პირდაპირი ინტერესები გააჩნიათ.

პირველი საკვლევი კითხვის პასუხად გამოიკვეთა, რომ უსაფრთხოების ფორმატში ჩატარებული კვლევების ძირითადი მიზანია, განსაზღვროს სტაბილური გარემოს განვითარების მდგრადი ტემპები, როგორც შიდა ისე გლობალურ დონეზე, საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში. ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენს მთავარ საკითხს, რომელიც

ასოცირდება სახელმწიფოებთან და ასევე მოიცავს ეთნო - კულტურულ ჯგუფებს.

მეორე საკვლევი კითხვის პასუხად, უსაფრთხოების განხილვა მოხდა სისტემური კუთხით, ასევე წარმოვადგინეთ ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემა, რომელიც უკავშირდება მშვიდობის დამკვიდრებას გლობალურ დონეზე. საერთაშორისო უსაფრთხოების სტაბილურობის კუთხით, განხილული იყო ჰიბრიდული ომიდან მომდინარე საფრთხეები, რომელიც ფართოდ წარმოჩინდა 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში, ის უტოლდება მეოთხე თაობის ომის კონცეფციას. განხილულ იქნა ჰიბრიდული ომის კონკრეტული მაგალითი, რომელიც უკავშირდება რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის სუვერენული ტერიტორიის ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციას და შემდეგ მის ანექსიას 2014 წელს.

მესამე საკვლევი კითხვის პასუხად, გამოვყავით შემდეგი გარემოებები, რომელიც წესრიგის ცნების სამ კატეგორიად იყოფა. ცნება **„მსოფლიო წესრიგი“** ასახავს კონცეფციას, რომელიც რეგიონში ან ცივილიზაციაში არსებული სამართლიანი წესებისა და ძალაუფლების განაწილების თვალსაზრისით მიიჩნევა მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად. **„საერთაშორისო წესრიგი“** გულისხმობს ამ კონცეფციების პრაქტიკულ გამოყენებას მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში, რათა გავლენა მოახდინოს ძალთა გლობალურ ბალანსზე. **„რეგიონული წესრიგი“** ზემოთ ხსენებულ პრინციპებს ეყრდნობა, მაგრამ მისი გავლენის სფერო გეოგრაფიულად შეზღუდულია. გარკვეულ ეტაპზე რუსეთ - საქართველოს სამხედრო კონფლიქტმა დიდი გავლენა იქონია რეგიონალური კუთხით, საქართველოში არსებულმა ვითარებამ, 2014 წელს უკრაინაში, ხოლო 2020 წელს მთიან ყარაბაღში სამხედრო კონფლიქტების ფორმით გადაინაცვლა.

დასკვნაში ასევე წარმოდგენილია ოთხი მეცნიერული სიახლე, რომლებიც უკავშირდება:

- რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო კლასიფიკატორის კუთხით შესწავლას.
- უშუალოდ განმარტებულია ავტორისეული ვერსია, თუ რა არის თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში, სამხედრო კონფლიქტის განსაზღვრება და დეფინიცია.
- ნაშრომს მინიჭებული აქვს შეზღუდული სამხედრო კონფლიქტის სტატუსი.
- ასევე ივენტ-ანალიზის მეთოდით არის განხილული და წარმოჩენილი საომარ მოქმედებებში ჩართული ქვეყნების საბრძოლო პოტენციალი.

ასევე ჩვენი კვლევის შედეგად დასტურდება, რომ საქართველო ცდილობს რუსეთთან პრაგმატული პოლიტიკის გატარებას, ურთიერთობების დალაგების მიზნით, მაგრამ ის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კუთხით დასავლელ პარტნიორებთან მჭიდროდ ინარჩუნებს ურთიერთობას.

- 2008 წლის რუსეთ - საქართველოს აგვისტოს ომმა სამხრეთ კავკასიაში დაახლოებით ორი ათეული წლის განმავლობაში არსებული ძალთა ბალანსის სისტემა ფაქტობრივად, ძირეულად შეცვალა. 2008 წლის ომის შემდგომ განვითარებულმა პროცესებმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სუვერენიტეტს: წარმოებული ომიდან დღემდე უამრავი ფაქტი არსებობს ტერიტორიული მთლიანობა დარღვევის. რუსეთის მხრიდან წარმოებული უსამართლობის ფონზე ჯერ-ჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდა მათთან სამშვიდობო ფორმატის მოძებნა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ანექსიის პროცესის შეჩერება.

ვთვლით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის და დასავლეთის დახმარებით, რუსეთი ვერ განახორციელებს საქართველოს მიმართ ღია

აგრესია, სწორედ ევროპული და დასავლური ინტეგრაციის პროცესი მომავალში გახდება მათი აგრესიის შეკავების ერთ - ერთი მექანიზმი. რეგიონში აქტუალური საკითხების წინ წამოწევის პროცესით, მსოფლიო თანამეგობრობის დაინტერესება ნიშანია იმისა, რომ დიალოგი მიმდინარეობს და საქართველოს საკითხი პრიორიტეტულია ამ მიმართულებით.

სამხრეთ კავკასიაში წარმოებული რთული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, ძნელად წარმოსადგენია უახლოვეს მომავალში ველოდოთ ვითარების დასტაბილურებას, რეგიონში არსებული კონფლიქტური კერები რეგიონს არ აძლევს განვითარების საშუალებას. ვფიქრობთ, რომ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს სჭირდება დიდი ტრანსფორმაცია რუსეთთან დამოკიდებულებაში, რადგან მან შეამციროს ღია აგრესია მეზობელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის რესპუბლიკების მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება შეიცვალოს ჩვენ ირგვლივ არსებული რეალობა და თავი დავაღწიოთ მისგან მომდინარე პირდაპირ საფრთხეებს.

ნაშრომში წარმოდგენილი ორივე ჰიპოთეზის (H1) და (H2) კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ჰიპოთეზა მტკიცდება. თანამედროვე პერიოდში ,,ახალი ცივი ომის“ მიმდინარეობისას სამხედრო პოლიტიკურმა კონფლიქტებმა განიცადეს გარკვეული ფორმაცია, რამაც გამოიწვია 21-ე საუკუნის დასაწყისში არსებული მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის რღვევა და ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესის აქტიურ ფაზაში გადასვლა, რამაც გლობალური უსაფრთხოების გეოპოლიტიკური გარემოს პირობები მნიშვნელოვნად შეცვალა. კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ნებისმიერი სახის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც იღებს ქვეყნის ხელმძღვანელობა კიდევ უფრო ზრდის საფრთხეების მასშტაბებს, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. ჩვენ განვსაზღვრეთ საქართველოს წინაშე ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები, კონკრეტულად გამოვყავით

,,მცოცავი ოკუპაცია“ და ,,ანექსია“ რომელიც უხეშად არღვევს ქვეყნის სუვერენიტეტს. აქედან გამომდინარე, სწორედ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს 2008 წლის შეზღუდულმა სამხედრო კონფლიქტმა დაუდო საფუძველი ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების ტენდენციას, რომელიც მომდევნო ეტაპზე 2014 წელს განვითარდა ტრიპოლარული საერთაშორისო წესრიგის ფორმატში.

მსოფლიოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ დასავლეთმა, უკეთ გააცნობიერა რუსეთისგან მომდინარე საფრთხეები. შეიმუშავა საკუთარი მიდგომა რუსეთის სტრატეგიასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე. გლობალურად გააქტიურდა მუშაობა რუსეთის ქმედებების გასანეიტრალებლად, მათ შორის, პარტნიორებთან ურთიერთქმედების ეფექტიანობის გაზრდის ხარჯზე. არსებული ვითარების ფონზე მნიშვნელოვანია საქართველომ მის ხელთ არსებული ყველა მეთოდით მონახოს კონკრეტული ფუნქცია, რომლითაც იგი საკუთარ წვლილს შეიტანს რუსეთის აგრესიული ქმედებების ნეიტრალიზების საქმეში.

ჩატარებული კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოების და დემოკრატიულ პროცესების განვითარების გზები. უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიის რეგიონის მთავარი პრობლემაა, მისი ,,გაყინული კონფლიქტები“ რეგიონული უსაფრთხოების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად რჩება. მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს შექმნა კავკასიაში მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ რუსული ინტერესების შესუსტება მოხდება რეგიონში.

კვლევაზე დაყრდნობით მოკლევადიან პერსპექტივაში, კონფლიქტების მოგვარება რთული ამოცანაა, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს შეუძლია აფხაზებსა და ოსებს შესთავაზოს მშვიდობიანი თანაცხოვრების გეგმა, ამ ყველაფრისთვის საჭიროა საქართველომ განაგრძოს დემოკრატიული ინსტიტუტების შენება და

ეკონომიკური რეფორმების გატარება. ამიტომ, საქართველო რუსეთის განწყობებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გადაწყვეტაში ერთ - ერთ მთავარ ფაქტორად აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე ურთიერთობის ყველანაირ მზაობას გამოთქვამს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, კონკრეტული შედეგები ჯერ არ ჩანს. დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ სტრატეგიას, რომელიც „სახელმწიფო სტრატეგიით ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“ ეწოდება, რომლის მიზანია ისეთი მომავლის უზრუნველყოფა, სადაც ქვეყნის ყველა მოქალაქე ისარგებლებს დემოკრატიული მმართველობის პრივილეგიებით, მსოფლიოში ინტეგრირებული, განვითარებული ეკონომიკით და იცხოვრებს თანასწორ გარემოში, მრავალეთნიკურ და კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში. საქართველოს მთავრობა ცდილობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლობისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ყველა ის სარგებელი, რაც ბოლოდროინდელ რეფორმების შედეგად მიღწეულ პროგრესმა მოიტანა. ეს მიმართულია ქვეყნის უფრო ღრმა ინტეგრაციაზე ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებსა თუ ინსტიტუტებში. საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ ინსტიტუციებთან ახლო ურთიერთობის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხს კეთილდღეობისა და უსაფრთხოების კიდევ უფრო მყარ გარანტიებს შეუქმნის.

სტრატეგია გამოხატავს საქართველოს ურყევ გადაწყვეტილებას მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში გაატაროს მშვიდობიანი პოლიტიკა და ძალღონე არ დაიშუროს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის პროცესის შეჩერებაზე.

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, მიაღწიოს დასახულ მიზანს მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით. მისი პოლიტიკა გამორიცხავს სამხედრო გზით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას. ყველა ეს მცდელობა თანხვედრაშია საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკასთან, რომელიც

არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებანი პოზიტიურია და დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ ის წინააღმდეგობას აწყდება დე ფაქტო მმართველების და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ნაწილი მოსახლეობის მხრიდან. განვითარებული მოვლენების ფონზე, საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა სტრატეგიის განხორციელების პროცესში.

Right of Authorship

Gorda Ghibradze

Classification of military-political conflicts and their transformation under the conditions of the new international security system (on the example of the Russia-Georgia conflict)

Abstract dissertation Presented for the degree of Doctor of Political Science

Tbilisi, 0142, Georgia

2022

Research Director: **Vakhtang Maisaia**

Doctor of political sciences

Caucasus International University

Professor

Official reviewers: **Vakhtang Kapanadze**

Academic Doctor of Geography,

International Black Sea University

Associate Professor

Alika Guchua

Doctor of Political Science,

Caucasus International University

Associate Professor

Defense of the thesis will take place on October 25, 2020, 14:00 pm, in the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social sciences

Address: 0141, Chargali Str. CIU, Building 1, Room 305

Read the thesis is possible in the library of the Caucasus international University

Secretary of the Dissertation Board

Petre Mamradze,

Associate Professor of the Caucasus international University

Annotation

The dissertation will deal with the classification of military-political conflicts. As well as their transformation under the new international security system (on the example of the Russia-Georgia conflict).

Geopolitically, these processes had many effects on parties being involved directly in the war. The thesis presents the political causes of the processes that took place in August and their possible consequences. Russia is considered to be

one of the main actors in international politics. Russia carries out aggressive military policy, military intervention and its underlying causes. It should be noted that the paper presents the 5-day war (2008) as a limited military conflict.

The doctoral dissertation consists of three chapters, nine subsections, expert research and conclusion. At the end of the thesis there is a list of used literature and annex.

The introduction of the doctoral thesis discusses the actuality of the research topic; It presents the purpose, objectives, research object, subject, theoretical-methodological bases of the research; The thesis forms the main results of the and scientific novelty. The information database of the paper is presented as well.

The first chapter - presents and discusses the issue of global security. Which is one of the main challenges in the new world order. There is also talk of a new order in the world where the US successfully maintains geopolitical hegemony.

The first subsection of the first chapter is about classification of military conflicts that has been going on since the second half of the 20th century. The same chapter discusses the different forms of warfare. We also talk about the Persian Gulf War, the most active phase of which is known as Operation Desert Storm. It became the first armed conflict to clearly show the methods of producing a new generation of high-tech wars. It was first used in Iraq and Kuwait in the early 1990s. All this later became the standard for war production developed by Western countries.

The second subsection of the first chapter - is about the post-Cold War world. The vectors of Russian foreign policy are discussed. There is also talk about Russian-produced propaganda and the dangers of information warfare. It is being discussed in the light of the fact that Russia has rudely interfered in the US

elections and is likely to have influenced over its outcome. The impact of Russia's soft power on Georgia is also discussed.

The third subsection of the first chapter – is about the security issue and its role in the modern world. It relates to the use of asymmetric force an d the form of asymmetric warfare and Israeli-Palestinian conflict is discussed as well.

The second chapter- The issue of regional security is discussed in the process of modeling the world order. We are talking about the conflicts of the countries in the South Caucasus. The urgency of the issue is conditioned by the challenge of ethnopolitical issues. It must be said that for the most part the parties to a military conflict oppose each other on ethnic grounds. It should be noted that the ethnicization of the conflict may have lasted for decades. Resolving military conflicts is a major problem in the Caucasus region as a whole.

The first subsection of the second chapter – is about on the geopolitical peculiarities of regional security. There are discussed the role of actors such as the United States, Russia, China, Iran and their strategic interests in the region.

The second subsection of the second chapter - Regional security and military conflicts in the Caucasus are discussed as well. It must be said that the development of the South Caucasus is directly related to the issue of resolving ethnopolitical conflicts. There is also talk about the Nagorno-Karabakh conflict in the south. The precondition for the current conflict is a dispute between Armenia and Azerbaijan, that is still considered to be unresolved.

The third subsection of the second chapter - is about the causes of the conflicts in the South Caucasus. There is talk about Russia's position and goals in the Nagorno-Karabakh conflict, that definitely do not imply peace in the region.

The third chapter is about geostrategic aspects of the Russia-Georgia conflict. Russia's policy in the region is of great importance. Russia wants total control over the South Caucasus region. It is about the fate of the post-Soviet

republics that aspire to integrate in the European and Western directions. Russia's aggressive policy in the South Caucasus is also discussed.

The first subsection of the third chapter is about the aggressive policy of the Russian Federation towards Georgia. We are talking about the occupation of part of the territory of Georgia by Russia. Russia's main goal is to create political, economic and social destabilization in Georgia. Russian aggression is a common occurrence in Georgia. But through involvement of Western and international organizations, it is unable to carry out open military aggression.

The second subsection of the third chapter is about the dynamics of the development of the Russia-Georgia military conflict. The Russia-Georgia conflict is also discussed. And what impact the August processes had on the Nagorno-Karabakh military conflict. What role Russia plays in all this military conflict.

The third subsection of the third chapter is about of the Russia-Georgia Military Conflict on Global Security. Russia's role as a new actor in the Syrian conflict. The subsection is about with the process of annexation of the Ukraine.

In conclusion, presented research and recommendations will partially help the States resolve conflicts at an early stage. Whereas all the key aspects of the initial stage of the conflict should be considered. It is also necessary to study the interests of all parties involved. As well as the interests of the parties directly or indirectly involved, that can have some impact on the conflict.